# სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

Research

აგვისტო 2025

• **2025 წლის აგვისტოში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი გაიზარდა 3.5%-ით წინა თვესთან შედარებით; ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა გურიაში, აჭარასა და რაჭაში.**
• **2025 წლის აგვისტოში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი გაიზარდა 1.1%-ით წინა წელთან შედარებით; ყველაზე მაღალი ზრდა დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლსა და რაჭაში.**
• **ოთახის საშუალო ფასი 2025 წლის აგვისტოში მერყეობდა 119 ლარიდან 553 ლარამდე.**

## სასტუმროს საშუალო ფასები

2025 წლის აგვისტოში საქართველოში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **119 ლარი** შეადგინა, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **179 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში **- 264 ლარი.** 2025 წლის აგვისტოს 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2025 წლის აგვისტოში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **553 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა გურიაში - **813 ლარი**, კახეთში - **676 ლარი** და აჭარაში - **655 ლარი**.




**გრაფიკი 1:** 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2025 წლის აგვისტოში, ლარში)

## სასტუმროს ფასების ინდექსი

2025 წლის აგვისტოში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2.6%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 6.9%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის აგვისტოში სასტუმროს ფასების ინდექსი 3.5%-ით გაიზარდა 2025 წლის ივლისთან შედარებით.

2025 წლის აგვისტოში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.2%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი - 5.4%-ით. მთლიანობაში, 2025 წლის აგვისტოში სასტუმროს ფასების ინდექსი 1.1%-ით გაიზარდა 2024 წლის აგვისტოსთან შედარებით.

| რეგიონი[4] | 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი | | საოჯახო ტიპის | | ყველა სასტუმრო | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | აგვისტო/ თვიური (%) | აგვისტო/ წლიური (%) | აგვისტო/ თვიური (%) | აგვისტო/ წლიური (%) | აგვისტო/ თვიური (%) | აგვისტო/ წლიური (%) |
| კახეთი | -0.2% | -0.1% | 2.3% | 2.5% | 1.0% | 1.7% |
| იმერეთი | -3.7% | 5.8% | 6.5% | 1.2% | -0.4% | 3.5% |
| გურია | 11.1% | - | 7.6% | - | 9.3% | - |
| ქვემო ქართლი | -2.3% | - | 1.2% | - | -1.2% | - |
| აჭარა | 6.7% | -1.3% | 11.4% | 13.1% | 7.3% | 0.7% |
| რაჭა | 11.5% | - | 0.1% | 5.3% | 4.6% | 5.3% |
| შიდა ქართლი | 2.1% | - | 4.9% | 11.1% | 3.6% | 11.1% |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | -2.0% | -5.0% | 2.2% | 2.1% | -0.1% | -0.6% |
| სამცხე-ჯავახეთი | -2.5% | 7.2% | 0.6% | 16.4% | -1.5% | 12.4% |
| მცხეთა-მთიანეთი | 4.1% | -2.1% | -3.2% | -6.8% | 1.4% | -4.3% |
| თბილისი | 1.8% | 0.6% | 7.7% | 2.5% | 3.2% | 0.7% |
| **სულ ფასების % ცვლილება** | **2.6%** | **0.2%** | **6.9%** | **5.4%** | **3.5%** | **1.1%** |

**ცხრილი 1:** თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2025 აგვისტო)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული სტრატიფიცირებულად არჩეული 571 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 368 საოჯახო ტიპის სასტუმრო. საშუალო ფასები გამოითვლება მიმდინარე თვეში ხელმისაწვდომი სასტუმროების საშუალებით.
**2** საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში ხელმისაწვდომი სასტუმროების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (CPI: “Theory and Practice”, 2004; Practical Guide, 2009).
4 ზოგიერთ რეგიონში ფასების ინდექსი მიუწვდომელია საბაზისო პერიოდის მონაცემების ნაკლებობის გამო.